პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 აპრილი, 1943 წ. № 90 (6715). ფასი 20 კაპ.

სანიმუშოდ მოვაწყოთ საქონლის გარეკა საზაფხულო საძოვრებზე

საქართველოს კოლმეურნეობათა მეცხოველეობა, მიუხედავად ომიანობით გამოწვეული სიძნელეებისა, აღმავლობას განიცდის. სოციალისტური მეცხოველეობის მუშაკები დაუღალავად მუშაობენ, რომ ჩვენს ქვეყანასა და გმირ წითელ არმიას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი მეცხოველეობის პროდუქტები. 1943 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 1942 წლის 1 იანვრისათვის არსებულთან შედარებით გადიდდა 3,9 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—3,5 პროცენტით, ღორისა — 24,1 პროცენტით.

მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების 1942 წლის სახელმწიფო გეგმა. ეს ითქმის ახპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ორჯონიკიძის, წყალტუბოს, ხობის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობათა შესახებ და სხვ.

მიმდინარე წელს ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამიწათმოქმედო ორგანიზებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს ნამატის მთლიანად შესანარჩუნებლად. მაგალითად, დოლი გაცილებით უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, ვიდრე გასულ წელს. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში დადოლდა 59.483 სული დედაცხვარი. მოგებული 59.965 ბატკნიდან შენარჩუნებულია 59.294 ბატკანი. ასევე კარგად ჩატარდა დოლი გურჯაანისა და თბილისის რაიონებში.

მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 11 მარტის დადგენილება „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“. ყვარლის, საგარეჯოს, ყარაიის რაიონებში შარშან არ შეუსრულებიათ ყველა სახის მეცხოველეობის განვითარების გეგმები ან ადგილი ჰქონდა საქონლის სულადობის შემცირებას. ეს იმით აიხსნება, რომ ამ რაიონების ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და სამეწათმოქმედო ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ მეცხოველეობის საქმეს. დიდი სამამულო ომის დღეებში მეცხოველეობის მუშაკთა წინაშე დასმულია საბრძოლო ამოცანა—თვალსაჩინოდ გაადიდონ საქონლის სულადობა, მისი პროდუქტიულობა და ეს შესრულებულ უნდა იქნას კიდევაც.

პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოადგენს გაშლილ საბრძოლო პროგრამას მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. პარტიისა და მთავრობის ეს დადგენილება საფუძვლიანად უნდა გავაცნოთ მეცხოველეობის ყველა მუშაკს და დავრაზმოთ მთელი ძალები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

დადგა ფრიად პასუხსაგები პერიოდი მეცხოველეობაში. კიდევ რამდენიმე დღე, და დაიწყება საქონლის გარეკა საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე. ამოცანა ის არის, რომ სანიმუშოდ მოვაწყოთ საქონლის გარეკა იალაღებზე და ენერგიული ზომები მივიღოთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის, საქონლის სულადობის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად კოლმეურნეობებში უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქტიულობის ამაღლებას. ცნობილია, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობას მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის აგრეთვე საქონლის იალაღზე კვების ცუდი ორგანიზაციის გამო. მეცხოველეობის მუშაკთა ვალია უზრუნველჰყონ საქონლის გასუქება იალაღებზე.

დარჩენილი დღეები მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული იმისათვის, რომ კარგად მოეწყოს საქონლის გარეკა იალაღებზე. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, საგარეჯოს, თბილისის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის, ბორჩალოს რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამიწათმოქმედო ორგანოებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს უნდა გააცნონ საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გარეკის ვადები, მოძრაობის მარშრუტი და უზრუნველჰყონ ამ ვადების მტკიცედ დაცვა. ცხვრის, მსხვილფეხა რქიანი საქონლის იალაღებზე გარეკის საუკეთესოდ ორგანიზაციისათვის საჭიროა მეცხოველეობის ფერმებში მოვახდინოთ საქონლის სულადობის გადათვლა იალაღებზე მის გარეკამდე. მეცხვარეობის კოლმეურნეობები დროულად უნდა უზრუნველვყოთ ყველა საჭირო ინვენტარით, მედიკამენტებით, სატრანსპორტო საშუალებებით, ზოოვეტპერსონალით და ფერმები მთლიანად დავაკომპლექტოთ კვალიფიციური მწყემსებით.

სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები. მათ უნარიან მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული საქონლის ჯანსაღად გარეკა. საჭიროა საბჭოთა ზოოტექნიკოსებმა და ვეტერინარულმა მუშაკებმა მეტი ინიციატივა, ოპერატიულობა გამოიჩინონ და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში. საქონლის გასარეკ ადგილებზე ეწყობა 8 სტაციონარი და 1 მოძრავი საველერინარო შემმოწმებელი პუნქტი. ამ პუნქტების მოწყობა უნდა დავამთავროთ დაწესებულ ვადებში.

რაიონებში ამ თავითვე უნდა შეირჩეს პასუხისმგებელი მუშაკები და ზოოვეტპერსონალი, რომელნიც საქონელს გააცილებენ საზაფხულო საძოვრებამდე. სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ საქონლის დაცვას და მთელი სულადობა უკლებლივ და ჯანსაღად დავაბინაოთ იალაღებზე.

წელს იალაღებზე გაცილებით მეტი რაოდენობის საქონელი მიდის, ვიდრე შარშან. ეს მოითხოვს რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისაგან გულდასმით მოემზადონ და საუკეთესოდ მოაწყონ საქონლის გარეკა.

გაზაფხული ისევე ცხარე სამუშაოთა პერიოდია მეცხოველეობაში, როგორც მემინდვრეობაში. ამიტომ ახლავე უნდა ვიზრუნოთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადაჭრით ამაღლებისათვის.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა გააჩნიათ მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად. გეგმა კანონია და მის შესასრულებლად უნდა გამოვიყენოთ ყველა ადგილობრივი რესურსები, დავრაზმოთ მთელი ძალები პარტიისა და მთავრობის ამ საბრძოლო დავალებათა შესრულებისათვის. მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და სახელოვან წითელ არმიას მეტი ხორცი, ერბო-კარაქი, მატყლი, ტყავი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში ყველაფერი გავაკეთოთ მეცხოველეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის. განუხრელად შეასრულოთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო მექსიკის დესპანი ბ-ნი ლ. კინტანიია

20 აპრილს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თანდასწრებით მიიღო მექსიკის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ლ. კინტანიია.

ბრძოლები უკბანში

მოკმედი არმია, 20 აპრილი (საკდესის საკ. კორესპონდენტისაგან). ყუბანში ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობენ. მოწინააღმდეგე ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს აღადგინოს დაკარგული მდგომარეობა და ახალი ძალები გამოჰყავს ბრძოლაში.

იმ უბანს, რომლის დაცვაც მინდობილი აქვს ერთ-ერთ ჩვენს ნაწილს, თავს დაესხა მტრის რამდენიმე ათეული თვითმფრინავი. სასტიკი დაბომბვის შემდეგ გერმანიის არტილერია ამოქმედდა, ხოლო შემდეგ იერიშზე წამოვიდნენ ქვეითი ჯარი და ტანკები. საბჭოთა მებრძოლები მედგრად შეხვდნენ ცეცხლოთს დარტყმას. თავი იჩინა ქვეითელთა უნარმა, რომელნიც სწრაფად გამაგრდნენ და კარგად ჩასაგრდნენ მიღწეულ ზღუდეებზე.

როცა ჰიტლერელები მოახლოვდნენ, მათ სროლა აუტეხეს არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა. რომელნიც ქვეითი ჯარის საბრძოლო მწყობრებში იმყოფებოდნენ. ამასთან ერთად გაისმა შაშხანების, ტანკსაწინააღმდეგო თოფებისა და ტყვიამფრქვევების შეთანხმებული ხალპები. ბრძოლა გაფთრებული ხელჩართული შეტაკებით დამთავრდა. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა.

რამდენიმე საათის შემდეგ კონტრიერიში განმეორდა. ჩვენმა მებრძოლებმა კვლავ უკან დახევინეს მტერს თავდაპირველ პოზიციებზე. ფაშისტებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს მრავალი გვამი, დამწვარი და დაზიანებული ტანკები, ქვემეხები და ნაღმსატყორცნები. გარდა ამისა, საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დიდი დაკლა.

ღამე გერმანელებმა კიდევ რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. იმ პოზიციებისაკენ, რომლებიც ნ შენაერთის გვარდიელებს უკავიათ, მთელი გერმანელების რამდენიმე კოლონა წამოვიდა. ფაშისტები წელში გამართულნი მოდიოდნენ. გვარდიელებმა ახლო მოუშვეს ისინი, ხოლო შემდეგ ყველა სახის იარაღის რამდენიმე დამიზნებული ზალპი შეაგებეს მტრის მწკრივებს. ქვეითებს მძიმე ნაღმსატყორცნების გუნდები დაეხმარნენ. მათმა ზალპებმა პანიკა გამოიწვია ფაშისტთა რიგებში. გვარდიელებმა მარჯვე მომენტი შეარჩიეს და კონტრიერიში მიიტანეს. ბრძოლის შედეგად ჩვენმა მებრძოლებმა არა მარტო უკუაგდეს გერმანელები, არამედ დილისათვის ახალ ზღუდეებზედაც გამაგრდნენ.

სხვა მსროლელ ნაწილს ამ ღამეს ორი საათის განმავლობაში ბრძოლა ჰქონდა გერმანელთა დიდ ჯგუფთან და აგრეთვე მოიგერია ყველა მათი კონტრიერიში.

ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში მტერმა სცადა განდევნა ჩვენი ნაწილები მათ მიერ დაკავებული ზღუდიდან. ამ მიზნით გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს ავიაციის დიდ ძალებს. სასტიკ დაბომბვას საათნახევრის საარტილერიო ჰოშზადება მოჰყვა, რის შემდეგ იერიშზე წამოვიდა მტრის ქვეითი ჯარი, რომელსაც ტანკები ახლდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა აქაც მედგრად გაუძლეს დარტყმას. იერიში მოგერიებულ იქნა. ამასთან მტერი დიდად დაზარალდა.

კვლავ აქტიურად მოქმედებენ ჩვენი მფრინავები. ერთი დღის განმავლობაში მათ საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 17 თვითმფრინავი და დაზიანეს 7 თვითმფრინავი.

ა. მალიგაშევი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 აპრილის დილის ცნობა

19 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში ტანკებით გაძლიერებულმა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის პოლკმა ღამით იერიში მოიტანა ნ გვარდიული ქვეგანაყოფის პოზიციებზე. გერმანელებმა, რომელნიც ამ უბანზე რიცხვობრივად სჭარბობდნენ, მოახერხეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს საბრძოლო წყობილებებში. გვარდიელებმა გაბედული კონტრიერიშით დაამარცხეს ჰიტლერელები და უკან დახევინეს მათ. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით და ხელჩართულ ბრძოლაში გაულეტილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის 4 ტანკი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე გერმანელ ჯარისკაცთა რაზმმა სცადა მოახლოვებოდა ჩვენს პოზიციებს. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ და ნაწილობრივ გაულეტილ იქნენ. ნ ქვეგანაყოფის სნაიპერთა ჯგუფმა გაულიტა 38 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. უფროსმა სერჟანტმა ყარამირზა ჯავათხანოვმა 17 გერმანელი გაულიტა 10 დღის განმავლობაში.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით მოწინააღმდეგე ცდილობდა სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. საბჭოთა მებრძოლებმა დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით და აიძულეს უკან დაეხით. ბრძოლის ველზე 100-მდე მოკლული ჰიტლერელი დარჩა.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი ნაწილები ცეცხლითს ბრძოლას ეწეოდნენ. ერთ უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 2 საარტილერიო ბატარია და გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ივ ქვეგანაყოფის სნაიპერებმა, რომლის მეთაურიც არის კაპიტანი დობროვოლსკი, ამ უკანასკნელ დღეებში 80 ჰიტლერელი გაულიტეს.

გერმანელთა თვითმფრინავების ჯგუფი ცდილობდა თავს დასხმოდა ერთ ჩვენს ობიექტს. საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოწინააღმდეგის თვითმფრინავები გაფანტულ იქნენ, მათ უწესრიგოდ ჩამოჰყარეს ბომბები და მიზანს ვერ მიაღწიეს. იმ ქვეგანაყოფთა მეზენიტეებმა, რომელთა მეთაურებიც არიან მაიორი ოპპოზოვი და კაპიტანი ივაშჩენკო, გერმანელთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა შჩორსის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა საფარიდან სროლა აუტეხა გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონას. საბჭოთა პატრიოტებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაულიტეს მტრის 60 ჯარისკაცი და ოფიცერი. 10 აპრილს სხვა რაზმის პარტიზანებმა დანაღმეს ჩკინგზის ლიანდაგი. ნაღმების აფეთქების შედეგად დაიმსხვრა მოწინააღმდეგის მატარებელი, რომელიც ამ გზაზე მიდიოდა.

* * *

გერმანიის არმიის ტყვედწამოყვანილი ჯარისკაცები, ეროვნებით პოლონელები, აცხადებენ, რომ ჰიტლერელი მტარვალები ელეტენ პოლონელ მოსახლეობას. გერმანელთა 161-ე ქვეითი დივიზიის 336-ე პოლკის ტყვედწამოყვანილმა ჯარისკაცმა რომან სამოტინსკიმ განაცხადა: „გერმანელებმა დახვრიტეს ქალაქ ბროდნიცის (პომორიე) მრავალი მცხოვრები. მათ სიკვდილით დასაჯეს ბურგომისტრი ბლოკუზი, საზოგადო მოღვაწე ბერეზოვსკი და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლნი. გიმნაზიის დირექტორი და მრავალი მასწავლებელი გერმანელებმა აწამეს საკონცენტრაციო ბანაკში. ჩემმა ამხანაგმა, რომელსაც ფრონტზე შევხვდი, მიამბო მის ფშობლიურ ადგილებში მომხდარი სისხლისღვრის შესახებ. სოფელ კასპერში მოსალის აღების შემდეგ ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა გერმანელი კოლონისტის შენობებს. მოიყვანა „სს“-ელთა რაზმი, რომელმაც დააპატიმა ქსენი ფელხნერისა და 10 გლები და მთელი სოფლის თვალწინ დახვრიტა ,ასინი. გერმანიის არმიაში ძალად გაყვანილ პოლონელებს უიმედო წერილები მოსდით სამშობლოდან. თითქმის ყოველი წერილი შეიცავს ცნობას ნათესავებისა და თვისტომთა შესახებ, რომელნიც გესტაპოელებმა დახვრიტეს ან გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპნენ ანდა „გერმანულ კატორღაში აწამეს“.

* * *

მიღებულია ცნობა გერმანელი ფაშისტი არამზადების ახალი საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ. ამას წინათ ვიტებსკის ოლქის სოფელ ნისკის ახლოს იპოვნეს მოკლული გერმანელი ჯარისკაცი. ჰიტლერელებმა მიწასთან გაასწორეს სოფელი და დახოცეს ამ სოფლის მთელი 256 მცხოვრები, რომელთა შორის ბევრი იყო ქალი და ბავშვი.

20 აპრილის საღამოს ცნობა

20 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი ჩასძირეს.

* * *

ყუბანში ნ შენაერთის ნაწილები მოწინააღმდეგის გაფთრებული იერიშების მოგერიებას განაგრძობდნენ. გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, რომელიც ტანკებისა და ავიაციის დიდი ძალების დახმარებით მოქმედებს, არა ერთი ცდის მიუხედავად, ვერც ერთ უბანზე ვერ შეესწო ჩვენი თავდაცვის გარღვევა. ჰიტლერელთა ყველა იერიში მოგერიებულია, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. დღის განმავლობაში საზენიტო არტილერიისა და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 12 თვითმფრინავი. გარდა ამისა, ჩვენმა ავიაციამ 11 თვითმფრინავი მოსპო მოწინააღმდეგის აეროდრომზე.

* * *

დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი სროლა იყო ორივე მხრიდან. ჩვენმა ნაწილებმა საარტილერიო-სანაღმტყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით 100-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს და მოწინააღმდეგის ერთი საარტილერიო და ორი სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი ჩაახშეს. სნაიპერი ზემდეგი კონსტანტინე ბონდარენკო თავის მოწაფე წითელარმიელ ალექსანდრე ლოგინოვთან ერთად ჩასაფრდა. მებრძოლებმა მალე ოთხი ჰიტლერელი შენიშნეს და მოსპეს. მტერმა ჩვენს სნაიპერებს მიაგნო და ტყვიამფრქვევის ძლიერი სროლა აუტეხა. გერმანელ ჯარისკაცთა ორმა ჯგუფმა სნაიპერების შემოვლა და გარშემორტყმა დაიწყო. ბონდარენკო და ლოგინოვი უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ და მარჯვე სროლით 17 ჰიტლერელი გაულიტეს.

* * *

კალინინის ფრონტზე იმ ქვეგანაყოფმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ჩერნოვი, უეცრად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის მიერ ქლიერ გამაგრებულ პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელთა წინააღმდეგობა სძლიეს და ამ ადგილზე გაბატონებული მაღლობი დაიკავეს. მოწინააღმდეგე ექვსჯერ გადმოვიდა კონტრიერიშზე; იგი ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, მაგრამ ჩვენი მებრძოლნი ყოველი იერიშის შემდეგ უკუაგდებდნენ მას. ჰიტლერელებმა მაღლობის წინ თავის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 400-მდე გვამი დასტოვეს.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ნ ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა ძელმიწური, სათვალთვალო პუნქტი, ორი საცეცხლე წერტი და ავტომანქანა საომარ მასალიანად. სხვა უბანზე ჩვენმა ნაღმმტყორცნელებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარს და გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი გაულიტეს.

* * *

გერმანელებმა დიდი დამსჯელი ექსპედიცია გაგზავნეს ბოგდან ხმელნიცკის სახელობის პარტიზანული რაზმის წინააღმდეგ, რომელიც უკრაინაში მოქმედებს. პარტიზანების ჯგუფმა ბრძოლა დაუმართა მოწინააღმდეგს და თავისკენ მიიზიდა მისი ძირითადი ძალები. ამ დროს პარტიზანთა ორმა სხვა ჯგუფმა ფლანგებიდან მიიტანა იერიში ჰიტლერელებზე. მოწინააღმდეგემ დაჰკარგა 50 კაცი მოკლულთა სახით და 70 კაცი დაჭრილთა სახით და უკან დახევა დაიწყო. პარტიზანებმა კვალდაკვალ მისდიეს უკანდახეულ მტერს, შეიჭრნენ რაიონულ ცენტრში, მოსპეს გერმანელთა გარნიზონი და გაანადგურეს 4 საწყობი სამარი მასალა და სურსათი. მათ დიდძალი მარცვლეული და პროდუქტები დაურიგეს მოსახლეობას.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს კრასნოდარის მხარის სტანიცა კრასნოარმეისკაიაში. „გერმანელმა ჯალათებმა სტანიცის ეთობით სრულიად უდანაშაულო მცხოვრები აწამეს და დახვრიტეს. გერმანელები ყოველდღე იჭერდნენ სახლებში და მიჰყავდათ მშვიდობიანი მოქალაქენი. ხალხი უკვალოდ იკარგებოდა. ჰიტლერელებისგან კრასნოარმეისკაიას განთავისუფლების შემდეგ, 1 აპრილს, სტანიცის გარეუბანში აღმოჩენილ იქნა წყლით ამოვსებული სამი ორმო. ორმოებში აღმოჩნდა 57 გვამი სტანიცის მცხოვრებლებისა. რომელნიც ჰიტლერელებს წამებით მოეკლათ. ჩვენ საზარელ სანახაობას წავაწყდით. სიკვდილით დასჯის წინ გერმანელ მკვლელებს საშინლად უწამებიათ საბჭოთა მოქალაქენი. ექიმ ნადეჟდა ლადიგინის მტარვალებმა ნეკნები ჩაუმტვრიეს, ხოლო შემდეგ დახვრიტეს იგი. ფაშისტმა მხეცებმა ლადიგინას 10 თვის გოგონაც აწამეს. ბავშვს მოელი სხეული დალბრეცული აქვს. მოკლულია სამმეულო ომის ინვალიდი კოლმეურნე ექვთიმე კურლოვი, კოლმეურნე გრიგოლ ნეჩაევი, რომლის სამი ვაჟი წითელ არმიაში მსახურობს. ფაშისტი ივაზაკების ხელით დაიღუპნენ ივანე აბრამოვი და მისი ცოლი ანა პროკოფის-ასული, რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო და მარიამ ორლოვა, კოლმეურნე ტიხონ ლიუბუშკინი და სხვანი. გერმანელებმა მოსპეს, დაანგრიეს და წაბილწეს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია კაზაკთა სტანიცის კულტურასთან და ახალ ყოფაცხოვრებასთან. გერმანელმა ჯარისკაცებმა დასწვეს 5 საშუალო სკოლა და დაწყებითი სკოლების შენობები. ფაშისტმა ვანურებმა დასწვეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბიბლიოთეკა, რაიონული საავადმყოფო მთელი მოწყობილობიანად და ინსტრუმენტებიანად, კულტურის სახლი და ათობით საცხოვრებელი სახლი. ჩვენ ეთხოვთ წითელ არმიის მებრძოლთ, შური იძიონ საზიზღარ ფაშისტ ბანდიტებზე წამებული საბჭოთა ადამიანების სისხლისათვის. იმ საშინელი ტანჯვისათვის. რაც სიკვდილის წინ განიცადეს მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა, იმ უმაგალითო ნგრევისათვის, რაც ჰიტლერელმა მახინჯებმა მოახდინეს ჩვენს საბჭოთა მიწა-წყალზე“. სტანიცის მცხოვრებთა დაავალებით აქტს ხელს აწერენ: ჰ. კუშჩევსკი, ჰ. ბურიმოვი, საშუალო სკოლის დირექტორი მ. სიტნიკი, ბიბლიოთეკარი ო. ჩეკანოვა, მასწავლებელი ქალი მ. კურლოვა, საბჭოთა კავშირის გმირის, კაპიტან ნიკოლოზ დუდინის მამა—კოლმეურნე მაქიმე დუდინი და კოლმეურნე ქალი დერნოვსკაია.

უკანასკნელი ცნობები

საომარი მოქმედება ჩუნისში

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 18 აპრილს ღამით მოწინააღმდეგემ კონტრიერიში მოიტანა ფრონტის ცენტრალურ უბანზე. იერიში ადვილად იქნა მოგერიებული. ყველა დანარჩენ უბანზე პატრულების აქტიური მოქმედება გრძელდებოდა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 17 აპრილს ღამით ინგლისის ავიაცია თავს დასხა 4 საელექტროტრანსფორმატორო სადგურს, რომელნიც დენს აწვდიან ელექტრონის რკინგზას პარიზსა და ქალაქ ლე-მანს შორის. ოთხივე სადგური ძლიერ დაზიანდა. მტერმა სუსტი წინააღმდეგობა გასწია.

მოკავშირეთა თვითმფრინავების ბრძოლა გერმანიის წყალქვეშა ნავებთან

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ახლა გამოირკვა, რომ 4 დღის წინათ ატლანტის ოკეანეში ბრძოლა მოხდა მოკავშირეთა ავიაციასა და მტრის წყალქვეშა ნავებს შორის. ეს ბრძოლა ყველაზე უფრო სასტიკი იყო ყველა იმ ბრძოლასთან შედარებით, რაც მთელი ომის განმავლობაში მოხდარა.

ანგლიელთა ავიაციის ოპერაციები

ლონდონი, 20 აპრილი (საკდესი). იტალიის მმართველ წრეებში ძლიერდება შეშფოთება და შიში, რომელიც დაკავშირებულია ტუნისში იტალიელ-გერმანელთა ჯარების დამარცხებასთან და იმასთან, რომ ომი თვით იტალიის ტერიტორიას უახლოვდება. ეგრეთწოდებული ფაშისტური კორპორატიული პალატის წევრი როკა, რომელიც ამას წინათ გამოვიდა რომში მრეწველთა კონფერენციაზე, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ იტალიელ მრეწველთა შორისაც „ცოტანი არ არიან არაკეთილსაიმედო და მერყეები ელემენტები“.

ამავე დროს პრესაში გამოქვეყნდა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც მოუწოდებენ „დამარცხების მომზრეთა და მოღალატეთა“ წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისაკენ.

გაზეთ „პოპოლო დ' იტალია“ აშკარად აღიარებს, რომ ფაშიზმისადმი მუქარა თვით იტალიაშიც იზრდება. გაზეთი ჩივის, რომ უკანასკნელი 3-4 თვის განმავლობაში არც ერთი კაცი არ ჩაწერილა ფაშისტურ პარტიაში.

„ფურქეთის გაზეთი „ტანი“ იტალიიდან ჩამოსული პირთა ნათქვამს ემყარება და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიაში ანტიფაშისტური ბრძოლა ფართოვდება. ანტიფაშისტურ ფარულ ორგანიზაციებს თავიანთი რადიოსადგურები აქვთ და თავიანთ ორალეგალურ გაზეთებს სცემენ.

სტალინგრადის გმირული დაცვის მონაწილე ნ გვარდიული შენაერთის მეთაურთა ერთი ჯგუფი. **სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): გვარდიის გენერალ-მაიორი **ნ. თავართქილაძე** და გვარდიის პოდპოლკოვნიკი **მ. რუსოვი**; დგანან — გვარდიის მაიორები ამხ. **მედვედევი** და **ნ. გორეხოვი**.

სტალინური მეგობრობის დროშით!

ურღვევი მეგობრობის დიადი გრძნობით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ამიერ-კავკასიის მომძე რესპუბლიკების ხალხები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში შედიან. „...მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის—დიდი და სერიოზული მონაპოვარია“ (სტალინი). ამ მეგობრობამ კიდევ უფრო მძლავრი გამოხატულება ჰპოვა დიდ სამამულო ომში. ამ მეგობრობამ ჩაჰფუშა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ქვიშაზე აგებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესძლებდნენ შუღლი და განხეთქილება ჩამოეგდოთ ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის, გამოეწვიათ არევ-დარევა საბჭოთა ხალხის ერთიან ოჯახში. მაგრამ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მრისხანე ძალად აღსდგნენ რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და უზბეკები, ტაჯიკები და თურქმენები, ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები—საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხები, რომლებიც ურღვევი მეგობრობით არიან შემტკიცებული ერთიან საბჭოთა ოჯახში.

ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს ფრონტზე წარმოადგენს გვარდიის წითელდროშოვანი ნ შენაერთი, რომელსაც ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, გვარდიის გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ტარიელის-ძე თავართქილაძე მეთაურობს. ამ შენაერთმა გმირული საბრძოლო ცხოვრების გზა განვლო. მის რიგებში ამიერ-კავკასიის ხალხთა შვილები მხარდამხარ იბრძვიან საქართველო, შენ, ძველო, ფერადოვანო სომხეთო. ჩვენ ვიცით, თუ რა თავდადებულად მუშაობენ ზურგის მშრომელნი ფრონტისათვის. ყველა ფრონტზე იცნობენ ბაქოს ნავთს, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საწარმოებში დამზადებულ საომარ მასალებსა და საჭურველს, იციან, თუ რა თავდადებულად შრომობენ ამიერ-კავკასიის კოლმეურნენი. ჩვენ მოველით თქვენგან, ჩვენო მამებო და დედებო, ძმებო და დებო, კიდევ უფრო მეტ საწვავ მასალას, სიკვდილის მთესველ საომარ ტექნიკას და სურსათს. ამრავლეთ თქვენი დახმარება ფრონტისადმი, მთელი ძალ-ღონით შეეწყეთ ხელი წითელ არმიას“.

ეს სიტყვები მძლავრად შეატოკებენ საბჭოთა პატრიოტის გულს. გვარდიელთა ამ მოწოდებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელები ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ. კიდევ უფრო გაძლიერდება ფრონტისადმი დახმარება. მეტ მრისხანე საბრძოლო იარაღებს დაამზადებენ ქარხნები. კიდევ უფრო გაძლიერდება თესვის ტემპები, უხვი მოსავლისათვის ბრძოლა. ამ პატრიოტული ვალის შეგნებით, ფრონტისა და ზურგის ამ საბრძოლო ერთიანობის ნიშნით ჩატარდა სტალინგრადის დაცვის მონაწილე გვარდიელთა ჯგუფის შეხვედრ

გაღაჭრით გავაძლიეროთ საგაზაფხულო თესვის ზემპები

საგაზაფხულო თესვაში ყველაფერი რიგზე არ არის

აბაშა („კომუნისტის“ ხპეც. კორ.). აბაშის რაიონის კოლმეურნეები ებრძვიან სოციალისტიკური ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის, რათა 1943 წელს მაღალი სამხედრო მოსავალი მიიღონ. რაიონი შარშანდელზე გადამეტებით თესავს სიმინდს 300-ზე მეტ ჰექტარზე, ბოსტნეულს—200 ჰექტარზე. კოლმეურნეობებში საგაზაფხულოდ შარშანდელი 25 აპრილისათვის მოხნული 11.374 ჰექტარის ნაცვლად წელს 15 აპრილისათვის მოიხნა 12.183 ჰექტარი. სიმინდი, შარშანდელი 25 აპრილისათვის დათესილი 1.847 ჰექტარის ნაცვლად, დათესილია 3.175 ჰექტარზე. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა მიერ აოშილია და დასათესად მომზადებულია 5.000 ჰექტარი.

მთელი რიგი კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ თესვის გეგმებს, მაგალითად, სოფ. ახალი აბაშის ბაქრაძის სახელობის, სოფ. ქოლობნის სტურუას სახელობის, სოფ. ონტოფოს სტალინის სახელობის, ამავე სოფლის ზერიას სახელობის, სოფ. სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები. მაღალი სამხედრო მოსავლის მისაღებად ნაცვლად 10.000 ტონისა მინდვრებში გატანილია საგაზაფხულოდ 12.038 ტონა ნაკელი. კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს რამის, ჩაისა და ციტრუსების მთელი რიგი სამუშაოები. მაგალითად, ციტრუსები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 43.700 ძირისა დარგულია 44.000 ძირი.

მაგრამ ეს მოღწეულები, როდი ნიშნავს, თითქოს აბაშის რაიონში ყველაფერი რიგზე იყოს, თითქოს ყველგან წარმატებით მუშაობდნენ. სოციალისტიკური ბელშეკრულებით რაიონს საგაზაფხულო ხვნა 13.307 ჰექტარზე 1 აპრილამდე უნდა დამთავრებინა. ფაქტიურად 15 აპრილსაც მტს-ს (დირექტორი ამხ. ბ. ბაკურია, პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. კატუაკია) 3.000 ჰექტარიდან მოუხნავი ჰქონდა 1.060 ჰექტარი. 16 აპრილსაც კი სოფ. სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. ზანათის კაგანოვიჩის სახელობის, სოფ. ნაესაოკოოს მახარაძის სახელობის, ამავე სოფლის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში მტს-ის ტრაქტორები არც კი იყენებენ მისულნი. მტს-მა ვერ უზრუნველჰყო ტრაქტორების უავარიო მუშაობა ორ ცვლად, საჭირო რაოდენობით ვერ მოიმარაგა ნაწილები. ტრაქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი ხშირად მოიცდარია. ბრიგადები, გარდა მეოთხისა (ბრიგადირი გ. თაკვარელია), რომელიც დავალება ვადამდე და გადაჭარბებით გადაღდა, გეგმებს ვერ ასრულებენ. მაგალითად, პირველ ბრიგადას 16 აპრილს 570 ჰექტარიდან მოხნული ჰქონდა მხოლოდ 251 ჰექტარი, მეორე ბრიგადას 800 ჰექტარიდან—545, მესამე ბრიგადას 770 ჰექტარიდან—432, ხოლო მეხუთე ბრიგადას 470 ჰექტარიდან—355 ჰექტარი. მტს-ის მოლოდინში, თითქოს იგი შესძლებდა 20 აპრილისათვის ხვნის გეგმის შესრულებას, კოლმეურნეობათა მუშა საქონელი დროულად და ყველგან არ იქნა გამოყენებული ხვნაზე.

ჩაის პლანტაციების რემონტის ვადა 1 აპრილს ამოიწურა. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ მიწგაბმა (გამგე ამხ. ა. ქოიავა, უფროსი აგრონომი ამხ. ბ. ჯინჯიხაძე) დროზე არ შეამოწმა პლანტაციები და სათანადო ზომები არ მიიღო თესლის შესაძენად, 17 აპრილსაც პლანტაციის რემონტი ექვს კოლმეურნეობაში 15 ჰექტარზე დაუმთავრებელი იყო, მათ შორის სოფ. სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში—10 ჰექტარზე.

სოფ. სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. ბალათარია) ციტრუსების რგვის ვადის გასვლის შემდეგაც, 17 აპრილს, 1.500 ძირიდან ადგილზე მოტანილი არ ჰქონდა 1.200 ძირი ნერგი. რაიონს აკლია აგრეთვე სუფრის ჭარხლის თესლი 4 ჰექტარისათვის, სტაფილოს თესლი—4,5 ჰექტარისათვის და ხახვის თესლი 10 ჰექტარისათვის.

იმის შედეგად, რომ აბაშის რაიმიწგანის და მტს-ის ყურადღება და დახმარება სუსტია, რაიონში ადგილი აქვს ხვნისა და თესვის აგროწესების დარღვევას. სოფ. ქოლობნის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბრიგადაში (ბრიგადირი რ. ლალიაშვილი) სიმინდი ნახევარ ჰექტარზე მწკრივად დაწესებულ მანძილზე უფრო ახლოს დასთესეს. ამავე კოლმეურნეობაში მტს-ის მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი რ. ბოკერია) 1 ჰექტარამდე უხარისოდ, ხარვეზიანად მოჩნა.

კოლმეურნეობებში ზოგან მოუწესრიგებელია შრომა. სოფ. ახალი აბაშის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში წევრებს აღ. ბაბელიას და ვ. ჭინტურიას წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუშავებიათ. სამუშაოთა უმიზეზოდ გაცდენას ადგილი აქვს აგრეთვე სოფ. ქოლობნის, ზანათის და სუჯუნის კოლმეურნეობებში.

აღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ აბაშის რაიონში ყველაფერი როდი გაკეთდა საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, როგორც ამას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ბოკერია ფიქრობს. რაიონში ჯერ კიდევ ყველა საშუალება არ არის გამოყენებული იმისათვის, რომ საგაზაფხულო სამუშაოები ვადაზე და მაღალი ხარისხით სრულდებოდეს ყველა კოლმეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიონული კომიტეტი ამ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნას გააკეთებს.

ტრ. თოდრაძე

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲠᲝᲜ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲓᲐᲡᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲡ ᲛᲘᲣᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნიუ-იორკი, 13 აპრილი (საკუდესი). ამერიკის პრესა დასკინის გერმანიის პროპაგანდის განცხადებებს იმის შესახებ, რომ გერმანიამ ევროპის კონტინენტზე ვითომც შეჰქმნა მიუვალი თავდაცვითი ხაზი ინგლისელ-ამერიკელთა შესევის წინააღმდეგ. ეხება რა ჰიტლერის მკვეხარა განცხადება, რომ თითქოს აგებულია ჩინეთის კედელზე 125 მილით უფრო გრძელი „მიუვალი კედელი“, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აცხადებს, რომ ვერც ჩინეთის კედელი, ვერც სიმაგრეთა რაიმე ხაზი ვერასოდეს ვერ მოსპობს მოკავშირეთა გადაწყვეტილებას აწარმოონ შეტევა.

შესაძლოა, სწერს გაზეთი, რომ გერმანიის პროპაგანდა მიზნად ისახავს ასეთი განცხადებით განუმტკიცოს გერმანელ ხალხს მორალური მდგომარეობა, რომელიც თანდათან უარესდება. კიდევ უფრო შესაძლოა, რომ იგი ისწრაფვის დააშინოს მოკავშირეები. მაგრამ ჩინეთის კედლის იმედი ვერ იხსნის გერმანიას, როგორც ვერ იხსნა საფრანგეთი მაჟინოს ხაზის იმედმა. „ვერცერთი არმია,—სწერს გაზეთი,—ვერასოდეს ვერ შეძლებს დაიცვას ჩინეთის კედელზე 125 მილით უფრო გრძელი თავდაცვითი ხაზი, ასეთი ხაზი კიდევაც რომ არსებობდეს. მაგრამ სინამდვილეში ასეთი ხაზი არ არსებობს“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ გაშომვლებული სანაპიროების გასწვრივ გერმანელთა მიერ შექმნილი სისტემა დაცვისა უწყვეტი არ არის. ეს სისტემა ერთდროულად შეიძლება გარღვეულ იქნას მრავალ ადგილას. „სასიამოვნო არ არის,—სწერს გაზეთი,—წინ რომ ფოლადი, ბეტონი და არტილერიის ცეცხლი გელობება. ოკავშირეთა ჯარებს შესევისას, უეჭველია, დიდი ზარალი მოუვათ. მაგრამ მოკავშირეთა ჯარებს ინიციატივა გააჩნიათ, და ისინი გადასწყვეტენ საკითხს, თუ ღირს თუ სახელმწიფოები სად და რა პირობებში იქნებიან იძულებულნი დაკმონ“.

(„პრავდა“, 14/IV).

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�პᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲧᲐᲠᲗᲐᲑᲐᲜᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სტამბოლი, 12 აპრილი (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ანატოლიის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტის ცნობას უცხოელ ჟურნალისტებს მიერ გერმანელთა სიმაგრეების, დათვალიერების შესახებ ჰოლანდიის სანაპიროზე, გაზეთი „ენი საბახი“ იძლევა შეკითხვას—რით ხელმძღვანელობდა გერმანიის სარდლობა, როცა სდგამდა ისეთ უცნაურ ნაბიჯს, როგორიც უცხოელებისათვის თავის სიმაგრეების ჩვენება არისო. გაზეთის აზრით, ეს გამოწვეულია არა მოკავშირეთა დაშინებისადმი, მისწრაფებით, ვინაიდან მსოფლიოში არც ერთი შტაბი არ ააგებს თავის ვარაუდებს სამხედრო საქმეების უცოდინარ სამოქალაქო პირთა ცნობების საფუძველზე, რომელთაც 10 ზარაბაზიანი სიმაგრიც კი შეიძლება მიუვალ ციხე-სიმაგრედ მოეჩვენოთ, აგრეთვე იმიტომაც, რომ „სპეციალისტი გერმანიაში ვერ დაინახავს ვერაფერს, გარდა დეკორაციებისა, რომლებსაც მას უჩვენებენ“.

გერმანელთა პროპაგანდისტულ მანევრს, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, არ შეიძლება მიზნად ჰქონდეს ისიც, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს ნეიტრალურ ქვეყნებზე, ვინაიდან შეუძლებელია, რომ ვინმემ დაუჯეროს გერმანელთა პროპაგანდას. მაშასადამე, დასკვნის გაზეთი „ენი საბახი“, გერმანელთა პროპაგანდის ამ ნაბიჯის მიზანია გაამხნევოს და დაიცვა მედოს თვით გერმანელები. ვინაიდან თვითონ გერმანიის რადიოც და პროპაგანდას, რომელიც უშუალოდ გებელსის პირიდან გამომდინარეობს, აღარ შეუძლიათ ამ ამოცანის გადაწყვეტა, გებელსი ისწრაფვის, რომ მისთვის სასურველი ცნობები, გერმანიაში მიღებულ იქნას სხვა ქვეყნებიდან.

(„პრავდა“, 14/IV).

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲠᲔᲨᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ

სტამბოლი, 18 აპრილი (საკდესი). თურქულ გაზეთ „ლა თურქიმ“ მოჰყავს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ გერმანელთა ძალადობას ბულგარეთში. ასე, გერმანელთა ბრძანებით დაიხურა 286 ბულგარული გაზეთი და სხვა პერიოდული გამოცემები. ბულგარეთის პოლიციის მართვა მთლიანად გადავიდა გესტაპოს გამგებლობაში, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ტერორი ბულგარეთში. მარტო თებერვლის მანძილზე ბულგარეთში 3.000 კაცი დააპატიმრეს.

ხალხს სძულს გერმანელები. ვიგინის რაიონში ბულგარელი სტუდენტები ამ ცოტა ხნის წინათ ჩასაფრდნენ; ჩასაფრებულებს წააწყდა ჰიტლერელი ოფიცრების ჯგუფი. 18 მათგანი მოკლულ იქნა.

ᲓᲔᲖᲘᲠᲗᲘᲠᲝᲑᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲓᲐᲜ

ლონდონი, 18 აპრილი (საკდესი). ინგლისური პრესის ცნობებით, ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაიზარდა დეზერტირობა იტალიის არმიიდან. განსაკუთრებით ბევრი ჯარისკაცი გარბის იმ ნაწილებიდან, რომლებიც საბერძნეთში და დალმაციის სანაპიროზე იმყოფებიან. თვით იტალიაში ათასობით სამხედრო ვალდებული თავს არიდებს გასაწვევ პუნქტებში გამოცხადებას. იტალიის ბევრ დიდ ქალაქში ხელისუფალნი ყოველდღე იჭერენ დეზერტირებს, რასაც ხშირად თან სდევს სისხლისმღვრელი შეტაკებანი.

ᲦᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲒ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲣᲧᲕᲔᲑᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲔ ᲑᲐᲓ ᲙᲣᲜᲓᲘᲡ

ლონდონი, 18 აპრილი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის“ ცნობით, გერმანიაში მყოფი ყველა ფრანგი სამხედრო ტყვე ლავალმა გადაცა გერმანელ ხელისუფალთა განკარგულებაში. 1.250.000 სამხედრო ტყვიდან გერმანელებმა უკვე შეარჩიეს 250.000 კაცი საწარმოებში გასანაწილებლად. დანარჩენები თავიანთ რიგს უცდიან. საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ, სამხედრო ტყვენი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას უარი თქვან მუშაობაზე. ლავალის წარმომადგენელმა ამ მუშაობაზე უარის თქმის შემთხვევაში ისინი სამხედრო ამართალში იქნებიან მიცემულნი.

ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ლონდონი, 18 აპრილი (საკდესი). აქ მიღებული ცნობებით, ბერძენმა პარტიზანებმა ამ უკანასკნელ ხანს მთელი რიგი ძლიერი დარტყმები აგვიყეს ოკუპანტებს, კალაბაკის რაიონში ბერძენმა პარტიზანებმა იტალიელთა მთელი რაზმი აიძულეს გაქცეულიყო. მოკლულ იქნა 60 იტალიელი, ბევრი დაიჭრა. ოკუპანტებმა ავიაცია გამოიყენეს და რამდენიმე სოფელი დაბომბეს პარტიზანების მიერ დაკავებულ ტრიკალისა და ელასონის რაიონებში. დიდი ზარალი მოუვიდათ იტალიელთა ჯარებს გრევენუს რაიონში ბერძენ პარტიზანებთან წარმოებული ბრძოლის დროსაც.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

სტამბოლი, 17 აპრილი (საკდესი). თურქულმა გაზეთმა „ლა თურქიმ“ გამოაქვეყნა სტატიები სერია ბულგარეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ვითარება ბულგარეთის დედაქალაქში, სწერს გაზეთი, მეტისმეტად დაძაბული და ნერვოზულია.

ბულგარეთის მოსახლეობასა და არმიაში, სწერს „ლა თურქი“, ანტიფაშისტური განწყობილება მატულობს, მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა მიუხედავად, რამაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სოფიაში, ბურგასში, ვარნაში, პლოვდივსა და სლივენში, სადაც ანტიფაშისტთა აქტივობა განსაკუთრებული ძალით სჩანს, საპოტაჟისა და გერმანელთა მოკვლის შემთხვევები ყოველდღე ხდება. ბულგარელთა ჯარებს, რომლებიც სოფიასა და მის მიდამოებში არიან დაბინავებულნი, დიდხანს არ ეშვებდნენ უაზრმეზიდან და ისინი „სს“-ელთა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ამ მნიშვნელოვნად გაძლიერდა აგრეთვე აქტივობა იუგოსლავიელი პატრიოტებისა, რომლებიც ბულგარეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ რაიონებში მოქმედებენ. სკოპლე-კარენოს რაიონში ამას წინათ მოკლულ იქნა 150 და დაიჭრა 100-ზე მეტი ბულგარელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბულგარეთის საოკუპაციო ჯარები, რომლებიც საბერძნეთის სანაპიროზე არიან დაბანაკებულნი, პირდაპირ ეშვემდებარებიან გერმანელთა სარდლობას.

ბულგარეთიდან ჩამოსულ პირთა ცნობებით, სოფიის მოსახლეობაში უდიდესი აღშფოთებაა გერმანელთა სამხედრო ხროვის უბამოობის გამო. სოფიის ერთ-ერთ ვაგზალზე გერმანელმა ეფრეიტორმა მოჰკლა 4 ბულგარელი რკინიგზელი და დასჭრა რამდენიმე კაცი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

19 აპრილს შესდგა თბილისის კიროვის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებამ განიხილა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომის მდივნის ამხ. კ. ხორავის მოხსენება რაიონის სამრეწველო საწარმოებსა და საწარმოო არტელებში პირველი კვარტალის გეგმის შესრულებისა და წარმოებსა ნასამისო სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რაიონის ზოგიერთმა საწარმომ, მათ შორის ცელულოიდის ფაბრიკამ, ქიმკომბინატმა, საგალანტერეო ფაბრიკამ, საქტრიკოტაჟმა, მონაკაშირის საწარმოებმა, ცეკავშირის სტამბამ პირველ კვარტალის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი საწარმო ჩამორჩა, მათ შორის პირველი და მეორე ტყავის ქარხნები, ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკა, ბამბისა და ქეჩის ფაბრიკები. აღნიშნულ საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა სუსტად იმუშავეს ადგილობრივი საშუალებების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, ადგილი ჰქონდა სამუშაო საათების მნიშვნელოვანი რაოდენობით მოცდენას, გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობას, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ზოგიერთ საწარმოო არტელში, იმ დროს, როცა ბევრმა მხთგანმა 1942 წლისა და 1943 წლის პირველი კვარტალის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა.

რაიონის ზოგიერთ საწარმოში ადგილი აქვს პროდუქციის თვითღირებულების ზრდას, ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიისა და ხელფასის ფონდის გადაჭარბებას (ბამბისა და ბამბის სართავი ფაბრიკები).

რაიონის საწარმოების ეკონომიურობა ჩამორჩა. მეცხრე სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვის ალიდებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ საწარმოთა კოლექტივებს ვალდებულებათა განაღდებაში. მაგრამ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები არასაკმარ ყურადღებას აქცევენ სოციალისტიკური შეჯიბრებისა საქმეს. მეორე სამკერვალო ფაბრიკაში შეჯიბრებაში ჩაბმული 688 კაცი-დან თებერვალში ვალდებულება ვერ გაანაღდა 130-მა კაცმა, ხოლო მარტში—150 კაცმა. ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში 346 კაციდან სოციალისტიკურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოდ 265 კაცი. ფაბრიკამ ვალდებულებით აღებული 101 პროცენტის ნაცვლად გეგმა 100 პროცენტით შეასრულა. ვალდებულებათა შესრულებაში ჩამორჩნენ საგამომშრალო და დამამზადებელი საამქროები.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ამხ. ნადირაშვილი, მალიანი, პარტოსიანი, შალვა, შათირიშვილი, მხითარიანი, შაფაქიძე, პარდისპანიანი, ერემაშვილი. კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მუუბუქი და კვებისა მრეწველობის დარგში ამხ. ბ. ლელინი.

აქტივის კრებამ გეგმებისა და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახა ღონისძიებანი.

საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის პლენუმი

სოხუმი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის მეორე პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: 1. სიმინდის თესვის მიმდინარეობისა და თამბაქოს თესვისათვის მზადების შესახებ; 2. ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა მშრომელთა დეპუტატების სოხუმის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ჩაჩავა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ე. ბერულავამ, ვ. ასათიანმა, ა. ფირცხალავამ კ. კარტოზიამ.

პირველ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო საქ. კ. პ. (ბ) სოხუმის რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. კ. გოგია. რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმასრულებლად არჩეულ იქნა ამხ. ი. ზარანდია.

რაღიუმით მკურნალობა

სსრ კავშირის ჯანსაღკომის გადაწყვეტილებით, აპრილს ბამბავლობაში საბჭოთა კავშირის 18 ქალაქში, მათ შორის გორკში, სვერდლოვსკში, კუიბიშევში, თბილისში, ომსკში, ტაშკენტში, ბაქოსა და ალმა-ათაში, შემოღებული იქნება რადოთერაპია.

შექმნილია სრულიად-საკავშირო სარადიუმო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან აკადემიკოსი ხლოპინი, პროფესორები ლატაშევი და პობედინსკი. (საკდესი).

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲘ

21 აპრილს, ხაღამოს 7 საათზე, „კომუნისტის“ კომბინატის კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს ლექტორის ამხ. **კირსანოვას** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11).

22 აპრილს, ხაღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 132) შესდგება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს ლექტორის ამხ. **კირსანოვას** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება **საქ. კ. პ. (ბ)** თბილისის ორგ. ლენინის რაიკომში **და** პლეხანოვის სახელობის კლუბში.

22 აპრილს, ხაღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ხულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ხამამული ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“.**

ბილეთების მიღება შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

პარასკევს, 23 აპრილს, საღამოს 7 საათზე, გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია იწვევს —მუშაკორებისა და საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთების რედაქტორების და აქტივის

საქალაქო შეკრებას

დღის წესრიგი:

ძირეული პრესის ამოცანები საამამულო ომის ვითარებაში.

შეკრება შესდგება ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 28, მესამე სართული).

პარტიკალენდარი

ხაქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის **რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4339310, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის მიერ პავლე ვასილის-ძე **ხუბულურიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხაქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2862904, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მიერ გრიგოლ სამსონის-ძე **ბახილაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხაქ. კ. პ. (ბ) ქვემო-ხვანეთის რაიკომი აცხადებს, რომ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3091997, გაცემული იოანე თეიმურაზის-ძე **ხაბულიანის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხაქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1522819, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მიერ სვეტლანა ივანეს-ძე **მალანიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხაქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3729330, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მიერ ილია დავითის-ძე **თოფურიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

თეატრებში

21 აპრილს: **სახობერა**—„პატარა კახი“. **რუსთაველის სახელობის**—„სამშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის**—„ურიელ აკოსტა“. **მუსიკალური კომედიის**—„სილვა“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** —„სურამის ციხე“.

კინოებში

რუსთაველის სახ. — „რაიკომის მდივანი“, **ოქტომბერი**—„სტალინგრადი“, **დამკვრელი** — „გამანადგურებლები“, **კომკავშირელი**—„ცირკი“, **სპარტაკი**—„ზღვის ქორი“, **ლუქსემბურგის სახ.**—„პატიმარნი“, **26 კომ. სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **კომინტერნი**—„მაშენკა“, **მეცნიერება და ცოდნა**—„საიდუმლო კუნძული“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

მთლიანად შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვა. 15 აპრილისათვის პირველი ხვნა ჩატარებული იყო 6.382 ჰექტარზე, აქედან ყამირი მოხნულია 743 ჰექტარი; სიმინდის კულტურა დათესილი იყო 981 ჰექტარზე, გასულ წელს კი 25 აპრილისათვის დათესილი ჰქონდათ 830,9 ჰექტარი.

საგაზაფხულო თესვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფ. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ხ. ბესელია). თესვაში დაწინაურდნენ ამ კოლმეურნეობის პირველი (ბრიგადირი ლ. არჩაია), მესამე (ბრიგადირი ნ. ოდიშარია) და მეოთხე (ბრიგადირი ტ. ოდიშარია) ბრიგადები. კოლმეურნეები აკ. კაჭარავა, პ. ოდიშარია, ჭ. სოლომონია, თ. ოდიშარია ყოველდღიურ ნორმებს 140-180 პროცენტით ასრულებენ.

თესვაში მოწინავეა სოფ. ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ 152 ჰექტარიდან უკვე დათესილი აქვთ 67 ჰექტარი. ვადაზე და ხარისხიანად დაამთავრეს რამის და ციტრუსოვანთა სამუშაოები. საუკეთესოდ მუშაობენ ამ კოლმეურნეობის მეორე (ბრიგადირი აკ. ხაფავა) და მესამე (ბრიგადირი ვ. ილესსონია) ბრიგადები, ისინი თესვის ყოველდღიურ ნორმებს 115-120 პროცენტით ასრულებენ. კოლმეურნეები მ. დამენია, პ. სირია, ა. ქაჩიბაია, ვ. კილასონია დღიურ ნორმებს 150-200 პროცენტით ანაღდებენ. მოწინავეთა რიგებში არიან კოლმეურნე ქალები: პ აფშილავა და ქ. ბოხუა, რომლებიც სამამულო ომის პერიოდში დაეუფლნენ მამაკაცის პროფესიებს.

რაიონში არის ჩამორჩენაც. ზოგიერთ კოლმეურნეობას დღემდე არ დაუმთავრებია ჩაის პლანტაციების მსუბუქი გადაბარვის და ჩაის ბუჩქების გასხვლისა და ფორმის მიცემის სამუშაოები. მაგალითად, სოფ. ზანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე რ. სართანია) სამარცხვინოდ ჩამორჩა ამ საქმეში. კოლმეურნეობას 219 ჰექტარიდან 15 აპრილისათვის გადაბარული ჰქონდა მხოლოდ 45,5 ჰექტარი, გასხვლა და ფორმის მიცემა ნაცვლად 206 ჰექტარისა ჩატარებული იყო მხოლოდ 180 ჰექტარზე. ეს მაშინ, როდესაც მსუბუქი გადაბარვა უნდა დაემთავრებინათ 1 აპრილამდე, ხოლო ჩაის ბუჩქების გასხვლა და ფორმის მიცემა 10 აპრილამდე. ჩამორჩენის მთავარ მიზეზს ის წარმოადგენს, რომ კოლმეურნეობამ ვერ მოაწესრიგა შრომა, სათანადოდ ვერ გამოიყენა დრო და შესაძლებლობანი.

ნ. კუჭავა

ᲓᲦᲘᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲔᲜ ᲖᲔᲛᲙᲔᲑᲡ

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები იბრძვიან მახარაძელ კოლმეურნეებთან სოციალისტიკურ შეჯიბრებაში ბამარჯვებისათვის. დღითი დღე იზრდება ხვნა-თესვის ტემპები. სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე დამთავრა პირველი ხვნა. ამჟამად აქ გაცხოველებით სთესენ სიმინდს. კოლმეურნეობის მეხუთე და მეთერთმეტე ბრიგადებში ამ დღეებში დამთავრდება თესვა. კოლმეურნეები აკაკი და ერასტო ფარცვანიები ბრიგადირები ამ დღეებში ორ-ორ ჰექტარ სიმინდს. ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობა „კოლხიდაში“, ორსანტიის, ცაიშის, აბასთუმნის კოლმეურნეობებში და სხვაგან.

ხუტა ბერულავა

ᲮᲕᲜᲐ-ᲗᲔᲡᲕᲐ ᲒᲐᲩᲐᲦᲓᲐ

ონი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები მასობრივად შეუდგნენ საგაზაფხულო ხვნა-თესვას. ბრიგადები დაყოფილი არიან რგოლებად, მათზე მიმაგრებულია სახნავი ნაკვეთები. ხვნის ნორმები ერთიორად სრულდება. 10 აპრილისათვის სოფ. ქვედის